

# ლიტერატურული განცემი

№18(202) 29 სექტემბერი - 12 ოქტომბერი 2017

გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 80 თერი



ტარიელ  
ჭანტურია

ნამდვილ პოეტს ნამდვილ ლექსს  
თავად ღმერთი კარნახობს!  
ღმერთს არ უნდა? — არ დაჯდე  
და შენც წყალი არ ნაყო...  
შეიძლება, ბევრი რამ  
ვერ ნახო და არ ნახო!  
დაელოდე — ნამდვილ ლექსს  
ციდან ღმერთი კარნახობს...  
დაელოდე ტკბილ ნაყოფს,  
დაელოდე მწარ ნაყოფს —  
ერთსაც და მეორესაც  
პოეტს ღმერთი კარნახობს...

/V-V



ზაზა  
ბიბილაშვილი

მე და შენ  
ანუ  
შენ და მე

ლატარიაა ეს ცხოვრება:

ვის წილად ერგო —  
მრავალი გული აღმერთებდეს —  
რაც არ უნდა ქნას,  
სულაც რომ არ ქნას არაფერი,  
არც არსებობდეს.

ვის კიდევ —  
თავი საკუთარი არ აძინებდეს —  
იმისთვის, რაც ქნა,  
იმისთვისაც, რაც ვერ უქნა.  
თან — არსებობდეს,  
არსებობდეს აუცილებლად.

VIII

\*  
პოსტსაბჭოთა ქვეყნების მოსახლეობიდან ყველას უყვარს საქართველოში მოგზაურობა. როდესაც საქართველოზე საუბრობენ, გრძნობ, რომ ეს ქვეყნა თოთქოს იმდეს აძლევთ. ქართველებს აქვთ უნარი, განსაკუთრებული სივრცე შექმნან — აიძულონ სხვები, პატივი სცენ. ქართველებს ეს ნამდვილად გამოსდით.

\*  
ჩემ წიგნს — „ჩერნობილის ლოცვა“ — მერაბ მამარდაშვილის სიტყვები წავუმდგარე. ძალიან მიყვარს მისი „ლექცია პრუსტზე“. ევროპაში ყოფნისას ყოველთვის თან დავატარებდი. ამ ფილოსოფოსის აზროვნება ჩემთვის ძალიან ახლობელია.

\*  
40 წელი საბჭოთა წითელი იმპერიის (რომელიც დღეს უკვე ისტორიად იქცა) შესახებ წერით ვიყავი და კავებული. ახალგაზრდებს ეს შორეული წარსული ჰქონიათ. შეიძლება, ბევრი რამ შეიცვალა, მაგრამ, სინამდვილეში, რუსეთში ყველაფერი ჯერ კიდევ საბჭოთა იმპერიის გამომნაშოთია. ის ცოცხალია და დიდ როლს ასრულებს. ამ წლების განმავლობაში აღმოვაჩინე, რომ მას ბევრი ახალი სახე, გამოვლინება აქვს. მთელი ცხოვრება ამას ხმამაღლა ვაცხადებდი და მიმაჩინია, რომ ასეც უნდა მოვქცეულიყავი.

\*  
პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ხშირად ვმოგზაურობ. ვაკვირდები, იმპერიის ნანგრევებზე როგორ გრძელდება ცხოვრება. ის, რაც მენტალობაშია, მარტივი დასამარცხებელი არ არის. წერისას არაერთხელ დავრჩნებული, რომ კომუნიზმი შეიძლება ნაციონალიზმს, მილიტარიზმს ან პატრიოტიზმს იყოს ამოფარებული.

\*  
პირველ წიგნზე მუშაობისას ჩემი რესპონდენტები არა თავიანთი გულაბდილი ისტორიების მოყოლას, არამედ საბჭოთა გმირებზე, ჰეროიზმსა და ვაჟყაც მეომრებზე საუბარს ინყებდნენ — ასე იყო მიღებული. მე კი სხვა დროსა და სხვა მოცემულობაში მათგან სიმართლის მოსმენა მსურდა. რამდენიმე საათსა თუ დღეში, როდესაც გამიშინაურებოდნენ, იწყებდნენ მოყოლას, როგორ იკერავდნენ ფრონტზე გარეცხილი დოლბანდისგან საქორწილო კაბებს, მერე კი მთხოვდნენ, მათ გმირობაზე დამენერა. მაშინ მივხვდი — ხალხს ეშინია ცენზურის, მეზობლების, ცრურწმენის... თუმცა, როცა 21-ე საუკუნეში მკითხველს სიმართლის მოსმენის სურვილი გაუჩნდა, ჩემი რესპონდენტები დარწმუნდნენ, რომ დამახინჯებული რეალობის მოსმენა არავის აინტერესებს. მეც ვიყავი აკრძალული მწერალი — პაციურიზმსა და ნატურალიზმს მაბრალებდნენ; დღეს კი ის, რასაც ვწერ, მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში იძექდება.

\*  
ჩემი შემოქმედების გამო მუდმივად პრობლები მაქეს, როგორც ბელარუსში, ისე — რუსეთშიც. ამას წინათ რუსეთში მკითხველებს ვეცდებოდი. ცხადია, ამ შევედრაზე უკრაინაზეც ვისაუბრე. ვერც კი წარმოიდგენთ, რამდენი სიბინძურე წამოვიდა ჩემი მისამართით. ბელარუსშიც, ჩემს წიგნებს, მხოლოდ ოპოზიციური გამომცემლობები ბეჭდავენ. არ შემიძლია, უნივერსიტეტებში სიტყვით გამოსვლა.

\*  
ყველა ჩემი წიგნი რუსულ ენაზე დავწერე, იმიტომ, რომ მთელი იმ წლების განმავლობაში, რაც წითელი უტოპიის ისტორიის შეგროვებას მოვაწომე, უტოპია რუსულ ენაზე საუბრობდა.

\*  
მამაჩემი, რომელიც არც ისე დიდი ხნის წინ გარდაიცვალა, სიცოცხლის ბოლომდე კომუნისტი იყო. სიკვდილის წინ ისიც კი მთხოვა, პარტიულებთან ერთად დამეკრძალა. მიაჩნდა, რომ იდეალიაზი იყო — უბრალოდ ადამიანები არ არიან სრულყოფილი. მისანარი იდეალისტი იმ დროში ბევრი იყო, მაგრამ მე იმ თაობას მივეკუთვნებოდი, ვისაც მამებთან კონფლიქტი ჰქონდა. ჩვენ არ

სვეტლანა  
ალექსიევიჩი



გვესმოდა იმ იდეალიზმის აზრი, რომელსაც მხოლოდ სასჯელი და სისხლი მოჰქონდა. გვიჩნდებოდა კითხვა: თუკი იდეა ასეთი მშვენიერია, რატომ ჰგავს ის ყაზარმას?

\*  
წიგნების წერისას ბევრს ვმოგზაურობდი. ვხვდებოდი ხალხს და ვეკითხებოდი, როგორ ქვეყანაში უნდოდათ ცხოვრება — დიდებულ თუ წორმალურ ქვეყანაში, ისეთში, როგორიც, მაგალითად, დანიაა. უმრავლესობა მპასუხობდა, რომ დიდებულ რუსეთში სურდათ ცხოვრება. როდესაც ეს მესმოდა, მინდოდა, გამეგო — რატომ ვართ უბრალოდ მონები კი არა, მონობის რომანტიკოსები?! ხალხისთვის, რომელმაც ამდენი იტანჯა და ამდენი ისისხლი დალვარა, ყველაფერი ეს რატომ არ გადაიქცა თავისუფლებად?!

\*  
შინური სოციალიზმი მაინტერესებდა — როგორ ხდება ადამიანი მონა და რატომ მოსწონს ეს მდგომარეობა. ამ კუთხით „ცინკის ბიჭები“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წიგნია, რადგან ბიჭებს, რომლებიც ჯერ კიდევ გუშინ სკოლის მერხებთან ისხდენ, მოშიუმბდნენ, ისინიც მიღიოდნენ და უცხო მიწაზე სრულიად მშვიდად ხოცავდნენ ადამიანებს. მერე კი გულწრფელად უკვირდათ, რატომ არ უყვარდათ ისინი.

\*  
რუს მწერალ ვარლამ შალამოვს აქვს ასეთი სიტყვები — ბანაკში (და ჩვენ სწორედ ბანაკში ვცხოვრობდი) ერთნაირად ბანიშვნელოვანი წიგნია, რადგან ბიჭებს, რომლებიც ჯერ კიდევ გუშინ სკოლის მერხებთან ისხდენ, მოშიუმბდნენ, ისინიც მიღიოდნენ და უცხო მიწაზე სრულიად მშვიდად ხოცავდნენ ადამიანებს. მერე კი გულწრფელად უკვირდათ, რატომ არ უყვარდათ ისინი.

\*  
რუსეთში წობელის პრემიის არც ერთი ლაურეატი არ უყვართ. ბუნის „ძალას“ ეძახდნენ, ბროდსკის — „შეშლილ ებრაელს“. ასე რომ, რუსეთიდან სიყვარულს არც ველოდი. მით უფრო, რომ, წობელის მიღების შემდეგ, პირველსავე პრესკონფერენციაზე ბერლინში, სადაც ყირიმის მოვლენებთან დაკავშირებით აზრი მკითხეს, რასაც ვიკირველია, ვთქვი, რომ ეს ანექსია, ოკუპაცია იყო. რეაქციამაც არ დააყოვნა, რაც სრული იგნორით გამოიხატა — თითქოს წობელისაერთოდ არ მიმიღია, თითქოს არც ვარსებობდი...

\*  
ვიყავი ამერიკაში, იაპონიაში, ჩინეთში — შევხვდიადამიანებს და მათ უხაროდათ, რომ წაიკითხება ჩინგნები, რადგან ასე უფრო გასაგები აღმოჩნდა მათოვის იმ ადამიანების ცხოვრება, რომლებმაც მოიპოვეს თავისუფლება და შემდეგ თავად თქვეს უარი მასზე.

\*  
საშინელებების წერით კი არა, ადამიანების სულით ვარ დაკავებული. მე ადამიანების სულების შემგროვებელი ვარ.

IX-XI

# თემურ გაბუნია

# პოლიტიკური მოქადა



ტრიესტის ნაქირავებ ბინაში მისი ახალი მოსწავლე ოსკარ შვარცი რომ მივიდა, თავი უცანურ სამყაროში მოხვედრილად იგრძნო. ვინა დონატო ბრამენტეს N5-ში მცხოვრები ჯეიმზი ოსკარს მოგრძო, ბევრი სკამებით მოწყობილ ოთახში შეუძლვა. იქვე იდგა პიანინო, ირგვლივ საკმევლის სუნი ტრიალებდა. საკითხავ მაგიდაზე ეკლესიურ სტილში დასვენებული იყო ტყავის ყდაში ჩასმული ჯოისის ლექსების კრებული Chamber Music, რომელიც ჯეიმზმა საგნგებოდ დააკოპირა პერგამენტზე და მეუღლეს, ნორა ბარნეკლს, გაუგზავნა დუბლინიდან. რიტუალურ გარემოს ამძაფრებდა მესტროვიჩის ქანდაკებების ილუსტრაციები, ხატების ფუნქციას რომ ასრულებდნენ. ჯოისის ისინი კატალოგიდან ამოეჭრა, ჩარჩოში ჩაესვა, კვემოთ კი (პირველი ორისთვის) რაღაც მიენერა ლათინურად. პირველ სურათზე გამოხატული იყო გლეხის ქალი გამობერილი მუცლით, სახეზე მძიმე შრომის კვალი აჩნდა, მის გამეჩერებულ თმას კი სანახევროდ ფარავდა იაფთასიანი პარიკი. ჯოის ფოტოს ქვეშ მიენერა Dura Mater. მეორე სურათზე გამოხატული იყო დედა ბავშვით, გამხდარი ჩვილი დედას გამოფიტულ მკერდზე ეპოტინებოდა. სურათის სათაურად ჯეიმზის Pia Mater მექრჩია. მესამე ფოტოზე აღსრული იყო შიშველი მოხუცი ქალი. ამ „ხატის“ ქვეშ ჯოის მიენერა სიტყვები დანტე ალიგიერის „ჯოვოხეთის“ V ქბიდან, „Elena vidi...“ „ენახე ჰელენე...“

ოსკარ შვარცი შეცდა, მას ვერ გაეგო, რა შუაში იყო დაწყე ან ამ შიშველ მაზინჯ მოხუც ქალს რა საერთო ჰქონდა მშვენიერ ელენესთან...

ლათინური სიტყვა Dura, გეოგრაფიული თვალსაზრისით, მდინარე ტიგროსის მარცხენა სანაპიროზე მდებარე ვაკე ადგილის ბიბლიური სახელია, სადაც ნაბუქოდონისამედიცინო თვალსაზრისით Dura Mater ტვინში არსებული მემბრანაა, რომლის უმთავრესი ფუნქციაა, სისხლი ტვინიდან გულისეკნ გადაქაჩოს. საგულისხმო ისიც, რომ „ულისეს“ ყოველ თავს რომელიღაც დომინანტი ირგანო ან სხეულის ნაიღლი შეესაბამება. მეგობრებთან საუბრისას ჯონისი აღნიშვნავდა, რომ მისი რომანი ერთგვარი ეპონი იყო ადამიანის სხეულის შესახებ.

როგორც კლოდ საიკისისადმი მინერილ  
ნერილში ჯოისი განმარტავს, „პენელოპეს“  
ეპიზოდში, მაგალითად, ქალის სხეულის  
ოთხი ნაწილი იქსოვება, თხრობა კი  
დედამიწის წრიულ მოძრაობასთან ასო-  
ცირდება. პენელოპე-მოლი ქსოვს, ქსოვი-  
ლის მოზაიკაში იკვეთება ქალის მკერდი,  
უკანალი, შუცელი და საშო. შეგავს მოვ-  
ლენა ჯოისის ამერიკელმა გამომცემელმა  
და მფარველმა მის ჰარიეტ უივერმაც  
შენიშვნა. „შენ სულიერებას როგორდაც  
სამედიცინო კუთხით უდგები... არც მღვდე-  
ლი ხარ და არც ექიმი, თუმცადა რადაც  
თვისები მოვთოლისავ გაქას და ექიმის-

## თემურ გაბუნია

# ՀԱՅՈՒՆԱԿԱՐԱՎՈՐ

ბუნდოვანებით მოცულ მონაკვეთში და  
მაშინ მას ყველა გაიგებს, ვინც დაეჭვებუ-  
ლია და სურს რომ მისაყვედუროს.“

და აი, ბუნდოვანებით მოცული ეპიზოდის ახსნის ჟამიც დგება, ირკვევა, რომ ბეატრიჩე ვენერაა, განპიროვნებული სიყვარული კი — ამური... სიყვარული გულიდან იწყება, სიბრძნე — გონებიდან, პირველის სტიქია ცეცხლია, მეორესი — ყინული, ასე რომ ჯოისის ოთახში გაკრული ხატი Dura Mater (მემტრანა, რომელიც ტვინიდან სისხლს გულისკენ ქარავს) სიყვარულის ქალღმერთის სიმბოლოა, ხოლო Pia Mater (ტვინის ქსოვილის მკებელავი მემტრანა) — სიბრძნის ქალღმერთის (სოფიასი).

ასე რომ, ჯონისმა დანწევს დაწყებული „ყინულისა და ცეცხლის სიმღერა“ აიტაცა, არა მხოლოდ „დუბლინელებში“, არამედ „ულისეშიც“. „დუბლინელების“ უკანასკნელ მოთხოვნაში („გარდაცვლილნი“) მოსული თოვლი სიკედილისა და სისპეტაკის სიმბოლოა, წევულებაზე შეკრებილთა ემოციები და სადღესასწაულო განწყობა კი რაღაცით ცეცხლს გვაგონებს. რიჩარდ ელმანის აზრით, „წევულების მონაწილენი გარდაცვლილ მომღერლებს ამჯობინებენ ცოცხლებს, (გებრიელის) ცოლი კი გარდაცვლილ შეყვარებულს (მაიკლ ფარეის) — ცოცხალს“ (Richard Ellmann, James Joyce, p.260). გარდაცვლილი შეყვარებულის პროტოტიპი მაიკლ ბოდკინია, გრეტასი — ნორა ბარნეკლი, გებრიელის კი — თავად ჯემზ ჯონის. მაიკლ ბოდკინი (ნორას საყვარელი) ტუბერკულიოზით იყო ავად, თუმცა როცა გაიგო, რომ გოგონა დუბლინში მიემგზავრებოდა, საწოლიდან ნამდგა, რათა მის ფანჯრებთან ემლერა, ყმაწველი მოკვდა. გებრიელი გრძნობს, მოუხედავად იმისა, რომ გრეტა უბრალო გაუზათლებელი ადამიანია, მას მაინც აქვს რაღაც პრიმიტიული, შეუვალი სიმტკიცე, თვით მაიკლ ფარეიც კი მასზე ძლიერია, რადგან გებრიელს არ შეუძლია, იმ გარდაცვლილი ყმაწვილივით ცველაფერი გაიღოს სიყვარულისთვის.

ცეცხლის თემა მოთხრობის დასასა-  
რულს კვლავ ტრივტივდება გებრიელის  
ცნობიერებაში. ის თავის სიყვარულს გრე-  
ტასადმი წმინდა ცეცხლით ანთებულ ვარ-  
სკვლავებს ადარებს და მიაჩინა, რომ მის  
სიყვარულს ვარსკვლავთა ცეცხლის ძალა  
გააჩინა.

მეტაფორის ძალა აქვს კიდევ ერთ ეპიზოდს „ღუბლინელებიდან“, გებრიელი და გრეტა სიცივეში იდგნენ და ცხაურიანი ფანჯრიდან შესცემოდნენ კაცს, „რომელიც მოგიზგიზე ღუმელთან ბოთლებს ძერავდა. ძალიან ციოდა. ქალის სახე სიცივისაგან ალენილი და სურნელოვანი, სულ ახლოს იყო მის სახესთან და უკრად გებრიელმა ღუმელთან მყოფ კაცს გასძახა:

— რაო, სერ, ცეცხლი ცხელია?“

მოგვიანებით, დანტექსა და ჯოისის „ყინულისა და ცეცხლის სიმღერას“ ჯორჯ მარტინიც შეუერთდა, თავისი საგითა და პერსონაჟი ხალესით, რაღაცით რომ ჰეგავს ცეცხლში დაუზველ ბეატრიჩეს, რომელიც ჯოჯოხეთში მყოფ დანტესთან ჩასული, ყოველგვარი სატანჯველისგან დაცულია, რადგან თვით „ალმური ცეცხლისანიც“ კი არ ეკარება. ცეცხლში თამამად შედის ჯორჯ მარტინის პერსონაჟი დენერის ტარგარიენიც (ხალესი). ხოლო როდესაც „ცეცხლი დაიშრიტა და მიწა იმდენად გაგრილდა, რომ მასზე გავლა შეიძლებოდა“, ალმოაჩინეს, რომ ის „უვნებელი იყო.“ დენერისა დიად დედად (მისად) შერაცხავენ ეგვიპტის მსახავს „პირამიდებიან“ ძალასანაში მშრობელო თოთას ასარიდეს.


კვეყანასი. მ ზოგუდელ დედას ადარებს  
დანტე ბერტინჩეს, „ულისეს“ დასასრულს  
კი — მოლი ბლუმი პლანეტა დედამი-  
ნასთან (დიად დედასთან) ასოცირდება.  
ტრანსფორმაციას განიცდიან (ვარსკვ-  
ლავებად იქცევიან) რომანის სხვა გმირე-  
ბიც. თავად მწერალს რეალურ ცხოვრება-  
შიც ჰყავდა სამი ქალღმერთი: ნორა  
ბარნეკლი, მართა ფლეიშმანი (მის შესახებ  
მოგვიანებით ვისაუბრებთ) და ირლანდი-  
ის ზღვის სანაპიროზე ნანახი უცნობი გოგ-  
ონა, „ლურჯი, მონაცრისფრო ქვედანელის  
კალთები წელამდე ურცხვად“ რომ  
„ამოეეცა და ზურგს უკან გაეკრა... თან  
ფეხებით წყალს აქტო-იქით ნელა ადგაფუ-  
ნებდა“ („ხელოვანის პორტრეტი“).

მოგვიანებით მწერალმა უცნობი „შმაგ  
ანგელოზს“ შეადარა და მის ხილვასთან

II

დანტე ალიგიერის „ლვთაებრივ კომპი დიას“ ლიტერატურები ხანდახან „ყინულისა და ცეცხლის სიმღერას“ უწოდებენ არა მხოლოდ იმიტომ, რომ ის დიდი გრძელითა და ცივი გონებითაა დასწერილი, არ მეტ იმ სულიერი მდგომარეობის გამოც რომელშიც პოეტი იშყოფება ბეკატრიჩევა გამოჩენაშდე. „სალხინებლის“ ოცდამეათ ქებაში პოეტი საუკთარ თავს აპენინი ყინულოვან მთებს ადარებს, რომელთ ზედაპირსაც ჯერ სლავონიდან მობერილი ცივი ქარი აუხეშებს, მერე კი ყინულის საფარს სანთლის ცვილივით ადნობს ცხელი ქარი, იმ ქვეყნის შვილი (აფრიკის სადაც შუაფლისას ჩრდილები ქრება.

„როდესაც ქარი  
მონაბერი სლავონიდა  
იტალიის მთებს  
გოროხებად აქცევს ყინული  
მუხის ტყეების ტოტებზე კი  
თოვლს აუხეშებ



დააკავშირა კათოლიკიზმისგან განდგომა. ბუნებრივია, ისმის კითხვა: სამუდამოდ რატომ შევიდა „გოგონას სახე მის სულში“ და რად იქცა ის რელიგიიდან განდგომის მიზეზად? და საერთოდ, რატომ დაისვა საკითხი ასე კატეგორიულად: ან ხელოვნება, ან რელიგია?

III

ქალის მხსნელად წარმოჩენა ძველი  
ეგვიპტიდან იწყება, ოთრმეტ ნაწილად  
აქებილი ოზირისი, როგორც უკვე აღვნიშ-  
ნეთ, იზიდამ უნდა გაამთლიანოს და გაა-  
ცოცხლოს. სიყვარულის ქალღმერთ იზ-  
იდას საპერძენეთში აფროდიტე შეარქეს,  
შუამდინარეთში — ისთარი, რომში კი —  
ვენერა. დანტესთან ბეატრიჩე ქალი მხს-  
ნელია, მეტიც, მას წინამორბედიც ჰყავს  
ჯოვანა, რომელსაც ეს სახელი იმ იოანეს  
გამო ეწოდა, რომელიც წინ უძლოდა ჭემ-  
მარიტ წათელს. დანტეს ესმის, რომ ზოგი-  
ერთი ეპიზოდი, „ახალი ცხოვრებიდან“ ენი-  
ნააღმდეგება ქრისტიანულ მოძღვრებას,  
მაგრამ მიაჩნია, რომ მას აქვს უფლება საკ-  
უთარ თავს პოეტურ თავისუფლება მიაჩი-  
ჭოს. თომა აქვინელის მოძღვრების მიხედ-  
ვით, სიყვარული სუბსტანცია არაა, ის სუბ-  
სტანციის მდგომარეობაა, ამიტომ  
გაუმართლებელია მისი ხორციელი ადამი-  
ანივით წარმოჩენა, მით უმეტეს ქალღმერ-  
თის სახით, რომელსაც თან უნდა ეთაყვანო  
კიდეც.

„დევთაებრივი კომედიის“ კითხვისას ნათელი ხდება, რომ პოეტი ცდილობს ნარ-მართული მისტერიის ხელოვნურად გაქრისტიანებას, მითიური ქალი მესიის შექმნას. მსგავსი რამ ხდება ჯოისთანაც, მისი „უღლისე“ სწორედ ქალი ქრისტეს შესახებ საუბრით იწყება. „ტელემაქეს“ ეპიზოდის პირველსავაგ გვერდზე ვკითხულობთ: „რამეთუ ესე არს, საყუარელონ, ჭეშმარიტი ქრისტინე: ხორცი და სული და სისხლი და წყლულნი.“ ეს შავი მესის პაროდია. იქვე ნახსენებია ადამიანის სისხლში შემაფალი თეთრი ნანილაკებიც. ჯოისი სისხლით იწყებს ადამიანის სხეულის აწყობას, რაც ბუნებრივიცაა, რადგანაც პირველი ეპიზოდის ერთ-ერთი თემა ზიარების გაშარებაა... მომდევნო ეპიზოდში — „ნესტორი“ — დომინანტი სხეულის ნანილითავია, ალბათ იმის გამო, რომ ოდისევსის თანამებრძოლი ნესტორი ბრძენებულად ითვლებოდა...

ამრიგად, დანტეცა და ჯოისიც  
თხობას რამდენიმე სივრცეში ანარმოე-  
ბენ, რეალურ-ისტორიულში, წარმოსახ-  
ვითში, ფიზიკურში, სულიერში, ასტრონო-  
მიულში, ასტროლოგიურში... დანტეს  
მათემატიკური სიზუსტით აქვს გათვ-  
ლილი, როდის უნდა გამოჩნდეს ბეატრიჩე.  
„სალხინებლის“ 30-ე ქება თავისითავად  
იდეალური (ლეთაებრივი) ციფრების 3-სა  
და 10-ის ნამრავლია. სიტყვები „მე ვარ ბე-  
ატრიჩე“ ზუსტად ცენტრშა მოთავსებუ-  
ლი ანუ 73-ე სტრიქონში (30-ე ქება 154  
სტრიქონისგან შედგება). ბეატრიჩე სიძ-  
ბოლურად ქალი მხსნელიცაა (იზიდა),  
რომელმაც მისი ძმისა და საყვარლის  
(იზირისის) 12 ნანილი უნდა იპოვოს და  
გაამთლიანოს. „ლეთაებრივი კომედიის“  
დასაწყისში, როცა პიეტი მოგზაურობას  
იწყებს, მზე თხის რქის ზოდიაქოშია, ის  
თანდათანობით შედის ცველა ნაჭდევზძი,

პირების ბოლოს კი კვლავთხის რქას უპრუნდება, ამრიგად, იმ კულიმინაციურ მომენტში, როდესაც მცყვდარი ოზირისი (დანტე) უნდა გაცოცხლდეს, მზეს უკვე გავლილიაქვს თორმეტივე ზოდიაქ.


მეცხრე ცაზე ატაცებული პოეტის თვალის ახილვისას ბევრობიჩე დუშმ და ილიმება, მისი ღიმილი ზუსტად იმდენ ხანს გრძელდება, რა დროითაც ინარჩუნებენ განწყნასწორებულ მდგომარეობას ზენიტიდან თანაბარი მანძილით დაშორებული მზე და მთვარე. საგულისხმოა, რომ მზე ამ დროს თხის რქის ზოდიაქოშია შესული, მთვარე კი — საპირისპირო წერტილში (სასწორის ზოდიაქოში). ეს ასტროლოგიური ფონია ოზირისის მისტერიის, რომლის დასრულების შემდეგაც პოეტს ენიჭება ახალი ხედვა, ის ბრმა იყო და თვალხილული შეიქმნა. დიდა სინათლემ (პავლე მოციქულივით) მხოლოდ წამით დააპრმავა, ხოლო შემდეგ, როგორც პოეტი ამბობს, მასში ისე აენთო მხედველობის უნარი, რომ მისი მზერის გამძლეობას უკვე ვერანაირი ბრძყინვალება ვეღარ დაშრეტდა, თუმცა ვინაა ის, ვინც პოეტს აცოცხლებს? მართალია, ბევრობიჩე კურთხეული სულია, მეცხრე ცის ბინადარი, მავრამ მას შენარჩუნებული აქვს წარმართი ქალღმერთის რეგალიებიც. მის ეტლს შვიდი მოცეკვავე ნიმფა ახლავს. მარცხნივ სამი უვლის ფერხულს, მაჯვენივ კი — ოთხი...

„აქ ნიმუშები ვართ,  
ხოლო ცაზე ვართ ვარსკვლავები  
და ბეატრიჩე  
ვიდრე მინად ჩამოვიდოდა,  
შიმუნვარებად ვახლდით ჩვენ მას  
ოთხივე ერთად. “

ჰლანეტა-დვთაებების (ვარსკვლავების) თემა „ულისეშიც“ თამაშდება, მეტიც რომანის პერსონაჟები უწყვეტ ტრანსფორმაციას განიცდიან, ისინი ჩვეულებრივი ადამიანებიც არიან, მითოლოგიური გმირებიც და ღვთაებებიც. სტივენი ტელემაქეცაა და ლაპირინთის ამგები დედალოსიც, თავისი ფრთხებით შორს როგორც უნდა გაუფრინდეს ირლანდიალ თანამემამულეებს, ის ცხოვრების პირველ ეტაპზე სტეფანი პირველმოწამის მსგავსად თავდადებული ქრისტიანია, თუმცა მერე ლუციიფერივით უნდა დაეცეს. სტივენმა მამაც უნდა იპოვოს (ტელემაქესავით) და ლაპირინთიც უნდა ააგოს (დედალოსივით)... რამდენიმე მითოსური წინასახე ჰყავთ ლეოპოლდ და მოლი ბლუმებს. მოლი არა მხოლოდ პენელოპეა, არამედ ქალმერთიც, ის დიადი დედის (გეას) სიმბოლოცაა. ციურისებლი მეგობრის ბადგენისადმი მიწერილ წერილში ჯოისი აღნიშნავდა: „ითაკას ეპიზოდში ბლუმი და სტივენი თითქოს უკვე ზეციურ სხეულებად არიან ქცეულები, თვითონაც იმ ვარსკვლავებივით მოგზაურობენ, რომლებსაც მისაჩირიბარნ.“

ეს ასტრონომიული შრეა, რომელსაც რელიგიური ასპექტიც აქვს, რადგან წარმართული შეხედულებების მიხედვით ციური სხეულები ღვთაებებიც არან. ამ-რიგად, მოლე ბლუმი მწერალს „მორალური თვისებების არმქონე კახბად კი არ ჰყავს წარმოჩენილი“, როგორც ეს ზოგიერთ მკვლევარს წარმოუდგენია, არამედ, რაგინდ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, ქალმერთად, ასე რომ, არც უნდა გაგვიკირდეს საყვარელთან (ბოლოანთან) თანაცხოვრების მიუხედავად, ლეოპოლდ ბლუმი მას მოკრძალებით რომ ეჭვავა.

მოლის 25 საყვარელი ჰყავდა. ეს ციფრი, შესაძლოა, სიმბოლურიც კი იყოს, 24 და-დი არსი და 25-ე — უზენაესი ღვთაება. მოლი „რიდებაზღიული იზიდაა“ (საგულისხ-მოა, ელენე ბლავატსკაიას სწორედ ეს წიგ-ნი აღმოაჩინეს ქირით მცხოვრებმა ჯოის-მა და გოპარტმა მარტელოს კოშკში, სა-დაც ჯორჯ რასელის მიერ შექმნილი თეორიოფური საზოგადოება იკრიბებოდა). სიმბოლურია, რომ „ულისეს“ პირველი ეპი-ზოდის „ტელემაქეს“ მოქმედებაც სწორედ ის მისტიკურ კოშკში ვითარდება, რომელ-იც სტივენის ცნობიერებაში ომფალონია — სამყაროს ცენტრი, ანუ „ჭიპი“. „ჩვენ თა-ვად... ახალი წარმართობა... ომფალოს“, — ეს სიტყვები ამონდის სტივენის ცნობიერე-ბის ზედაპირზე „ტელემაქეს“ ეპიზოდში, მოგვიანებით კი, რომანის დასასრულს, მოლი ბლუმს თავისუფლად შეუძლია წარ-მართული ურცხვობით იამაყოს თავისი 25



საყვარლით და გაფიქროს: „15 წლის ასაკში მეტი ვიცოდი კაცებზე და ცხოვრებაზე ვიდრე მათ 50 წლისას ეცოდინებათ...“  
„ჰო...“

IV

1918 წლის 19 დეკემბერს უნივერ-  
სტეტქონტრასეთი ციურინის ნაქირავებ ბინი-  
სკენ მიმავალმა ჯორისმა მოულოდნელად  
ნინ ქალი შეგრძნა, თავანეული ლალად რომ  
მიუყვებოდა ქუჩას. სახლში შესვლისას ისა  
შემობრუნდა და მათი ოვალები წამით ერთ-  
მანეთს შეცვალა, ჯეიმზს გონება გაუნათდა,  
ეს თითქოს სწორედ ის გოგონა იყო, 1898  
წელს რომ ნახა ირლანდიის ზღვის სანა-  
პიროზე, ტალღებთან მოთამაშე ნელამდე  
ანეული ქვედანელით...


გარევეული პერიოდის შემდეგ მართა ფლეიშმანს ისტერიის შეტევები დაეწყო და მეურნალობის კურსის გავლაც კი მოუწია. საკუთარი ავადმყოფობის მიზეზად ის ჯოისთან უჩვეულო ურთიერთობას ასახ- ელობდა.

დიახ, „ულისეს“ ავტორს მართლაც ჰქონდა რაღაც საერთო დანტე ალიგიერ- თან, შემთხვევით არ უწოდებდნენ მას „დუბლინელ დანტეს“, თუმცა ამ ორი ხე- ლოვანის მსოფლმხედველობათა შორის იყო დიდი სხვაობაც, დანტე ცდილობდა

კათოლიციზმისგან განდღომამ ჯორის  
უშძიმეს სულიერ მდგომარეობამდე მიიყ-  
ვანა. სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ის  
მტკიცნეულად განიცდიდა ქალიშვილის  
ფსიქიკურ აშლილობას და მიაჩნდა, რომ  
ლურიას ავადმყოფობა „ლვთისგან მოვლე-  
ნილა სასჯელი იყო რწმენის დაკარგვის  
გამო“. მეტიც, ცოდვიანობის შეგრძნება  
ძილშიაც კი არ ასვენებდა. ეს კარგად ჩანს  
მისის ნათოთინგისადმი მიწერილ წერილში,  
რომელშიც ჯორის საკუთარ სიზმარს აღწ-  
ერს და აანალიზებს. სპარსული ბავილო-  
ნი ოთახებით მას რუსული ბალეტის ნახ-  
ვის შემდეგ ესიზმრა. ვიღაცას დანაშაული  
ჩაედინა. უცებ კარი გაიღო ყვავილების  
ბაღში გასასვლელად. თავადაც იმე-  
დოვნებდა, რომ გავიდოდა, მაგრამ ზღურ-  
ბლს სისხლის წვეთი დაეცა. მსგავსი რამ  
მოხდა დანარჩენი ორი კარის გაღებისას.  
მოგვიანებით ჯორისა ასე ახსნა ეს სიზმარი:  
„12 ოთახი ზოდიაქოს ნიშნებია (ოზირისის  
მისტერიის უმთავრესი ატრიბუტის); სამი  
კარი სამებას აღნიშნავს; კაცი, რომელმაც  
დანაშაული ჩაიდინა, რაღა თქმა უნდა, მე  
ვარ...“

სამეცნიერო წილის ნიშანშე ჩადგენილი ცოდვები, აი, რა ანუხებდა ჯონის, თუმცა ისინი სიკვდილის წინაც არ მოუნანიებია, გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე ის მეგობრის მეუღლეს, მარია ჯოლასას, თხოვდა, კონრად აიკენის ახალგამოსული წიგნი „ოზირის ჯონსი“ გამომიგზავნე, სათაურიდანაც ჩანს, რომ ჩემს შემოქმედებასთან ახლოს უნდა იყოს. ჯონის უტეხი იყო, როგორც ჯორჯ რასელი იტყოდა, „ლუ-ციფერივთ ამაყი.“ შეუძლებელია არ დაეთახებო ფოლექტორის შეფასებასაც, რომლის აზრითაც ჯონის უდიდესი მწერალი გახლდათ, მაგრამ ღვთაებრივ ცეცხლში დაიბუგა. ცეცხლში დაფერივლის უმთავრესი მიზეზი კი ალბათ წარმართული მისტერიებისადმი რიტუალური დამოკიდებულება უნდა მიიჩნიოთ, რასაც არა მხოლოდ მისი შემოქმედება, არამედ ტრიესტის ნაქირავებ ბინაში მოწყობილი სამოლო/ჯვილოვან ადასტურებს.

\* „გილაბაშვილინის“ წინასიტყვაობა, ზურაბ კიკაძე-  
\*\* არსებობს პიპოლუბა, რომლის მიხედვითაც ქალს,  
რომელიც ეგვატტემ სამ ქალღმერთად შერიცხს (იზ-  
იდად, მუტად და რას თვალიდ, ანუ სოფიად, სიბრძნის  
ქალღმერთად), ბიბლიორი გმირებივით დიდანს (რამ-  
დენიმე ასევე ნერი) უნდა ეცოცხად და შეღებებას საკ-  
მაოდ ხანდაზმულს „უნდა გამარინა, ასე რომ, სატყაბად მოხ-  
უცი, თმბობადაცევნილი და პირივის ქალბაზორების შეწ-  
ჩევა მხოლოდ ჯოსის მოდერნისატულ ხედვას არ უნდა  
მივაწეროთ. შესაძლოა, მწერალი ამ თემას საქმარიდ ღრ-  
ენ.”





ტარიელ ჭანტურია

## სიყვარულის შავი ყუთი

ისევ ვალაგებ უჯრებს.  
ზოგიერთი საეჭვო ლექსის მოშორებისგან  
ახლაც თავს ვიკავებ —  
მირჩევნია, ეს მკითხველმა გააკეთოს!



### ალმოდებული ლექსარომი

ის არა ჯობს? — როცა გოგო ბიჭისაგან იწვის!  
ის არა ჯობს? — როცა ბიჭი გოგოსაგან იწვის!  
ნაძვის, მუხის, ჭაფრის, ალვის,  
და ნაძვების წიწვის  
ცეცხლში მთელი საქართველო  
სამი დღეა იწვის...  
ცეცხლი უკიდია თუშეთს,  
თბილის, ბალდადს, ყინწვის... —  
რა ჩამოთვლა უნდა — მთელი  
საქართველო იწვის...  
ამას ალბათ ბევრად ჯობდა  
კოცონებს სიძვის...  
ვის სცალია ტრფობისათვის —  
სიყვარულიც იწვის...  
გვახსოვს? ვიცით? — ანგარიშს რომ  
უსწორებდა ვინც ვის... —  
საქართველო იქნებ მათი  
შურის გამო იწვის...  
ჟამი ლანძლვის, გინების და  
წყველისა და კიცხვის... —  
რას იპოვი დამნაშვეს —  
იქნებ ისიც იწვის...  
იკარგება საბუთები  
შრომის, წინსვლის, მიღწვის...  
...  
რას ჩააქრობს ამ ცეცხლს ცრემლი —  
საქართველო იწვის...

### დედახეივი... მამახეივი...

დრო რა სწრაფად გადის,  
ამის დედაც ვატირე!  
...დრო რომ სწრაფად გადის,  
ეს არ სჯერათ პატიმრებს...  
ოცი წლის რომ ჩაგსვეს,  
თანაც ჩაგსვეს ოცი წლით,  
გადარჩენას ცდილობ,  
და სულს ახლა ხორცი ცვლის...  
შენიანებისას  
ვერც იხსენებ სატკივრებს...  
...

### ვარლამია გათე

უნდა მკვდარსაც შეეძლოს  
ზოგჯერ გამოიწება,  
თუ სურვილი გაუჩნდა —  
გვერდზე გადაბრუნება!  
არ ვგულისმობ, ბატონო,  
ასე ვთქვათ, გაცოცხლებას

და მაინცა და მაინც  
ოჯახში დაბრუნებას!  
ალბათ ასეც მოხდება,  
თუ უფალმა ინება! —  
შეძლებს განსვენებული  
ზოგჯერ გამოძინებას...

\* \* \*  
სიყვარული — რუსთველია,  
სიყვარული — თამარია,  
სიყვარული — ილია... —  
სიყვარული მთავარია...

ოქრო, ვერცხლი, ბრილიანტი,  
მომზიბლავი ჯავარია,  
აქაც, იქაც, ყველგან, მუდამ —  
სიყვარული მთავარია!

უყვარს? — მაშინ ნუ კითხულობ,  
გინაა და რავარია! —  
მთავარია, რომ მან იცის —  
სიყვარული მთავარია!

საწყინა — სიყვარულშიც  
ხდება ზოგჯერ ავარია...  
ამის მიუხედავადაც —  
სიყვარული მთავარია...

ტანჯულია! მტანჯველია!  
ცუდად ლამის მთევარია...  
მთავარია, მანაც იცის —  
ის ამ დროსაც მთავარია!

ზოგჯერ უცხო ქვეყნებიდან  
მოგზავნილი „ტავარია!“  
ეს სიყვარულს ხელს ვერ უშლის —  
ის ამ დროსაც მთავარია...  
სიყვარული სამშობლოა,  
მისი ზღვა, ცა, მთაბარია!  
მუდამ, ყველგან, ყველასათვის —  
სიყვარული მთავარია...

### დღიური

ვერ ახდენს ჩემზე შთაბეჭდილებას  
პოკერში ჩემი წაგება!  
ვერ ახდენს ჩემზე შთაბეჭდილებას  
ჩემი ლექსების ძაგება!  
წეტა შემეძლოს, ავდგე ერთ დღეს და  
ტანჯული ყოფა ჩემი —  
ბედერული მნერლის ყოფნა-არყოფნა  
დაგნერო მართალ საგებად...  
ვინ გაიმტა სხეული ჩემი  
და სული ჩემი საკეპად...

მინდა, ეს ჯვარცმა ვირტუალური  
დავწერო მართალ საგებად!

გამორიცხული სულაც არ არის —  
გავაგებინო ბრიყებს,  
თუ როგორ უნდა სინამდვილეში  
ძეგლს პოეტისას აგება...

### ვაზინო

აქ სულ ვიღაც იმარჯვებს  
და სულ ვიღაც მარცდება,  
სხვანაირად ეს საქმე  
არც ხდებოდა, არც ხდება,  
ამის მიუხედავად  
გამარჯვების მსურველი  
ათასები კაზინოს  
ძველებურად აწყდება!

კაზინოს რომ ერჩიან,  
ამ პრიბლემა-თემაზე  
უნდა, მურმან ძვირფასო,  
ახლა შენც გაგაცინო!  
არ აიღებ? აიღებ? —  
ამით რა შეიცვლება! —  
თვითორი დედამოკლული  
ცხოვრებაა კაზინო!

### ვარლამია გათე

— ...ვხედავ... მაგრამ ჭირს უფლის  
იდენტიფიცირება...  
იმედი უიმედო  
ფიქრებში იძირება...  
და რწმენა ურწმუნობის  
შავ ბურანს ეწირება...  
...გაჭირდა თვალმოკრულ ღვთის  
იდენტიფიცირება...

\*\*\*  
ციხე არ დაგელებიათ,  
კატორლა და ეტაპი!  
ჭკუას მაინც ვერ სწავლობთ —  
რა ხართ ეს პოეტები!  
ჯოჯოხეთი არ გახსოვთ —  
გახსოვთ მარტო ედემი!  
და ედემის იმედით  
კვლავ მიედ-მოედებით!

გხიბლავთ ჩინ-მედლები და  
გიყვართ ეპოლეტები!  
მწყინს, და თან მზარია —  
რა ხართ ე პოეტები!

\*\*\*  
მე ისევ ვუცდი კარტს,  
მე ჩემსას ვუცდი კარტს!  
ჯერის ტუზო, პიგის დამავ,  
სა ჯანდაბაში ხართ...  
ვიღაც — დიდ სარეცხს ფენს!  
ვიღაც — მიათრევს ჯარის!  
ვიღაც — კითხულობს წიგნს!  
მე ჩემსას ვუცდი კარტს!  
რას მოუხერხებ გულს —  
მის ვნებას, მის აზარტს...  
ნერენ დიდ წიგნებს. სვამენ.  
მე ჩემსას ვუცდი კარტს.  
იქნებ ვუშველო რამე  
უუსაშველო დარდს.  
შენ რომ პრაზდები, ისიც  
ამიტომ უცდის კარტს.  
რა ეკითხება შულერს,  
ვის ატყავებს და ვის ღლიტავს!  
რაც შენ იშოვე სისხლით,  
ის ვერ იშოვე სისხლითაც.  
თვალების ბოროტ ცეცებას,  
შულერის თითებს მარდს  
რას მოუხერხებს პოეტი —  
ტყუილად ელის კარტს!  
თუმც მოტანილი ქარების  
ბოლოს გაყვება ქართ,  
შენ მაინც შენსას ცდილობ —  
ზიხარ და უცდი კარტს...

### აიხედი, გიშო, ზევით

ლამაზია ცა მითი,  
უკვდავიცა ცა მითი —  
მიდის მარადიული —  
პლანეტების სამიტი!  
სიცოცხლისა და სიკედილის  
მარად განუყრელობა! —

პლანეტების ლამაზი  
და უკვდავი ყრილობა!  
რა სახენებელია  
ჩვენი გულისტკიული,  
პრობლემები ჩვენი და  
სენი ანდა ჭრილობა!  
ცა — მშობელი! ცა — შეილი!  
ცა — ზღაპარი! ცა — მითი!  
ცა — დაუსრულებელი —  
პლანეტების სამიტი...  
(ვერაფრით მოვიძორე  
ეს ღადავი სამიწე! —  
რა ვენა, მეც ვარ წვეული  
მარადიულ სამიტზე...).

...  
მერამდენედ ტარდება  
ულამაზეს სამი დის —  
მზის, მთვარის და ვენერას —  
როგორ ქვია? — სამიტი!

## შაპათი

— არ ვინდა წასვლა, ტარია! —  
ხედავ? რა ცუდი დარია —  
რა საშინელი წვემაა,  
რა საზიზლარი ქარია!  
კედელზე, ეგერ, გიტარა,  
სკამზე — დოლი და თარია!  
წავილინოთ, რა მოხდა!  
პრესას ვიძოვით, ტარია!  
აგე, ვილაცა გამოჩნდა,  
ალბათ ყმაწვილის ზარია! —  
ზზზ და ზზზ — რეკავს გაბმულად!  
მიდი, გაუდე, ტარია!  
ან — ჩემი ნათესავია,  
ან — შენი მეგობარია!  
რა წყინს ასეთი, ნეტავი,  
ან ასე რა უხარია!

...  
მიდის, კარს აღებს ტარია!  
კი, მისი მეგობარია!

\*\*\*

სხვადასხვანაირია  
ფიქრი დღისით და ღამით —  
წელი, თვე, კეირა, დღე და  
საათი, წუთი, წამი... —  
სულ სხვაა ფიქრი დღისით,  
სულ სხვაა ფიქრი ღმით...  
ჩვენამდე, და ჩვენს მერეც —  
იყო,  
იქნება  
ჟამი!  
რას გვეუბნება, გახსოვს? —  
სამად ქცეული ერთი!  
ვიცი, რომ იცი ესეც —  
ერთად ქცეული სამი...

## სიცოცხლე. განმარტება — შვილების თხოვნით

გაუმარჯოს სიცოცხლეს —  
ერთს. ერთადერთს. უკვდავს. —  
ღმერთს. ბევრნაირს.  
უთვალავს. დარდს. ოცნებას. მიზანს.  
ოხვრას დაუსრულებელს. კასკადს სიხარულების.  
მდიდარს დაუჯერებელს. ენით ართქმულ ზიზანს.  
ზღაპარს. იმედს. სასარულს მინისას და ცისას.  
აუხდენებს იმედებს მოყვრისას და მტრისას.  
გაუმარჯოს სიცოცხლეს — განუმეორებელს.  
უწყვეტ ტავტოლოგიას მთვრისას და მზისას.  
უბოლორ სიხარულს. უწყვეტ ბედნიერებას,  
ტკივილს დაუსაბამოს მამისას და ძისას.  
ნამდვილ უსასარულიბას. არმოსაწყებ თამაშებს.  
ღმერთს — ერთადერთს. სიკეთეს. უკვდავ ძალას მისას.  
გაუმარჯოს სიცოცხლეს — ჩემსას! შენსას! მისას!  
სხვისას... სხვისას... სხვისას...

\*\*\*

გიყვარს და მოგწონს  
ეპატაჟები! —  
სუფრაზე გიჟებს  
ეპატიჟები!  
მოგწონს და გიყვარს  
კიჩი! კიჩები!  
კიჩების ავტორს  
ეპატიჟები!  
რამ შეგაყვარა  
ასე გიჟები!  
გაგსებული გაქვს  
სახლი კიჩებით!  
კარგი ბიჭები!  
ნალდი ბიჭები!  
შეყვარებული  
მუდამ — ბიჭები!

## ცევროზი

— მტკივა ყური. მტკივა ყელი.  
მოკლედ, დავრჩი უყელ-ყუროდ!  
შეილთაშვილების წინაშე  
თავს ვგრძნობ ისე უხერხულად...  
  
თავს არ ვიკლავ... თავს ვერც ვიკლავ —  
ვარ მძევალი ამ სიბერის...  
ოცი წელი ცოტა! ჰო!  
მაგრამ — ასი? ასი — ბევრი...  
  
ჰო... ცოტაც და წუთისოფელს  
ჩანაცვლებს სხვა სოფელი...  
...ზოგჯერ მაქეს და ზოგჯერ არ მაქეს  
მოკვდაგს რწმენა სასუფევლის...  
  
...  
(მოთა აგერ! რაც საბრძნეა,  
მეტი წილი ამას უთქვამს...  
...რა იყო და როგორ, ნეტა,  
მისი ბოლო ამოსუნთქვა!)...

\*\*\*

თოფი. ხმალი. ხანჯალი... —  
იარაღმა ბირთვულმა —  
მომავალმა წარსული —  
წუთში გააბითურა!

მალე ადამიანი —  
თუ უფალმა ინება —  
არც ნაკლები, არც მეტი —  
უფლის დონე იქნება!

(წურც ამას გამოვრიცხავთ:  
ეშმას დონე იქნება...)...

## ელეგია

სახლი სულიერების —  
ოთხმოცდასამს გასცდა...  
მაგრამ ამასობაში  
სახლი ხორცის — გაცვდა...  
მიმოიბნა სალარო  
უუმთავრეს განძთა...  
ბარიერი მთავარი —  
გულგრილობა კაცთა...  
  
გამოჩნდება საცაა  
ის — წერტილი ათვლის...  
გაივლის კი? — მანქანა  
ცხრა, ათ წერტილს ათვლის...  
აქ ტანჯულის სატანჯველს  
ტანჯვად არვინ არ თვლის...  
...არვის აინტერესებს  
დღეს სიმართლე მართლის...  
ემატება სადარდელს  
ბედი ტანჯულ ქართლის...  
...ბედისწერა ტკივილად  
არც ამ ტკივილს არ თვლის...  
...ზაშლილია საზღვარი  
ცოდფისა და მადლის...  
...იქ კი სტუმარს დიმილით  
ელოდება მატლი...

\*\*\*

სიცოცხლე — მთავარი სცენა  
ათასი მტკივარი და სენა  
სისხლის და ცრემლების დენა  
რამდენი ჭირი და ლხენა  
ფიოთლების რამდენი ცვენა  
ჩიტების ფრენა და სტვენა  
რამდენი ფიოთ და ვენა  
რამდენი ტაში და წყენა  
ქარები ქვენა და ზენა  
რამდენი კოცნა და ღრენა  
რამდენი ჩქერება და რქენა  
რამდენი გიო და ლენა  
რა ცურვა, რა გადარბენა  
პლანეტა — რამდენი ფენა  
გიყვარს და უყვარხარ შენა

სიცოცხლე — მთავარი სცენა  
ტრიალი ვება სცენის  
მზის ჩასევლა, მზის გამოჩენა  
ტაშები ჩემი და შენი

სიცოცხლე — მთავარი სცენა  
მესიჯი სიყვარულის თემაზე  
მესიჯი გამომრების თემაზე  
მესიჯი სიკვდილის თემაზე

სიკვდილი — დახურული სცენა

\*\*\*

როცა პოეტს გული წყდება,  
თვალებიდან ცრემლი წყდება,

როცა გული ისევ წყდება,  
პოეტს ცრემლი ისევ წყდება,  
თან ის ცრემლი ალარ წდება —  
ალარ შრება, ალარ წდება...  
თანაც პოეტს ის ტკივილი  
ალარასდროს აკინწყდება.  
მართალია, ცხოვრებაში  
კარგიც ხდება, ავიც ხდება —  
არც ერთი და არც მეორე  
პოეტს ალარ აკინწყდება...  
და ის ცრემლი ალარ შრება,  
და ის ცრემლი ალარ წდება...

ვინც სხვაგვარად იცნობს პოეტს,  
თუ უბრალოდ ვიტყვით — ცდება...

## ის...

ცხოვრება მასაც მოექცა მკაცრად —  
მან სისხლი მისი — ცრემლებში გაძრა...  
მისი ოცნება ეს იყო მუდამ —  
სახლი თავისი ექცია ტაძრად!  
არავინ სიტყვა არ შეანია —  
მისთვის სიტყვაც კი არავინ დაძრა...  
ეს არც უკვირდა! — ყოველი ცეცხლი —  
იციდა — ბოლოს იქცევა ნაცრად!  
ყოფას კაცისას ვერავინ შეცვლის! —  
სულ მოდის ვილაც — წასულის ნაცვლად...  
...უჭირს სიცოცხლეს, საწყალ სიცოცხლეს  
იმ ბედუკულმართ სიკვდილზე აცრა...

## 85

რომ მოვიხედე უკან და  
რომ გავიხედე წინ,  
არ ვიცი, რა მჭირს, ვინა ვარ,  
სად ვარ — სხვაგან თუ შენ...  
დანატრებული მშვიდ დღეებს,  
წყნარ სალამოებს, ლხინს,  
დანატრებული სიმშვიდეს,  
ღმილს, ჩას და ხილს,  
დანატრებული მშვიდ ყოფას,  
წყნარ, სიზმრებინ ძილს...  
...მართალი არის, რაცა მჭირს?  
თუ — თავს შე ვწამებ ცილს...  
ყოველი კაცი დაეძებს  
სიმშვიდეს თავის წილს...  
ბედნიერების ნამცეცებს  
თხოვს კოლს, შვილიშვილს, შვილს...  
...არ იქნა! — მთავარ ძილამდე  
ვერ ეღიარები ძილს!  
...ძირს მოლოდინი უსაზღვრო...  
ყოფა უაზრო...  
ძირს!

\*\*\*

— გული რომ მტკივა, გული რომ მეწვის,  
შევჩივლო, ვუთხრა შენს გარდა მეტს ვის...  
ასე ტანჯული ცხოვრების გზაზე,  
არ ვიცი, ერთხელ ჯვარს რად არ ვეცვი...  
...არ ვიცით არც მეტი,  
არც შენ და  
არც მან —  
ბოლოს და ბოლოს რა არის ჯვარცმა... —  
ამდენი ფიქრი,  
ღვიძილი,  
ძილი,  
ათასჯერ გახდა,  
ათასჯერ ჩაცმა... —  
არ ვიცი, იქნებ ესაა ჯვარცმა,  
იქნება სულაც ეს იყოს ჯვარცმა...

## პომო ლუდეს

არც ნოეში აგერიო,  
არც ურწმუნო თომაში!  
რა ვენა, მიყვარს ტუზებთან და  
კაროლებთან თამაში!  
მეც — ტკივილები გულში  
და ჭალარა — თმაში!  
მეხერება კარტის აჭრა —  
თემას ავრევ თემაში!  
ტკივილები — სოხუმი და  
ბიჭვინთა და ტამიში...  
...სამი ტუზის გაცვლა მიყვარს  
ორ მშვინიერ დამაში!  
...მუდამ — ცრემლი და ღიმილი  
ამ ჩვენს კარმიდამოში...  
ყველა მიყვარს! — გევედრები,  
დამერწმუნე ამაში...



ირაკლი ლომოური

## კაეტუსი თიხის ძოთანაში ანუ როგორ დაიღვა „დიადი დუგილი“

**სენსაციური, შემეცნებით-საგანმანათლებლო ფანტასტიკური მოთხოვბა**

რასაც ახლა მოგიყვებით, იმდენად ფანტასტიკურად ჟღერს, რომ თავადაც ვერ დავიჯერებდი, პირადად რომ არ გადამხდენიდა.

თქვენ კი, ცხადია, არაფრით დამიჯერებთ. არც გაგემტყუნებათ. მით უფრო, რომ არავითარი დამამტებული საბუთი არ გამაჩინა. სიტყვაზე უნდა მენდოა. ოლონდ მხოლოდ მე არა. მე და სანას. ჩემს მეულლეს. რადგან ორივემ ვნახეთ და შეეგირძენით ის, რასაც ახლა მოგითხოვთ...

შორიდან დავიწყებ, მით უმეტეს, რომ ეს ამბავი ახლა კი არ მოხდა, არამედ — წლების წინ. დღემდე არ გამხელით, რადგან ვიცოდით, არავინ დავიჯერებდა. მაგრამ ახლა გადაცნული მოთხოვბის სახე მიყცე და ასე გავაცნო საზოგადოებას. მოთხოვბას ვერავინ მოედავება.

ერთი სიტყვით, შეგიძლიათ დამიჯეროთ, ანდა — სუმრობად ჩამითვალოთ. თქვენი ნებაა...

...ქალიშვილის მოხილვის რამდენიმე ხერხიარსებობს. ამაზე ბევრია დაწერილი, მაგრამ რომელი მეთოდია უსწრაფესი და ყველაზე ეფექტუარი, დღემდე კამათობები.

ო'ჰერნის ერთი მოთხოვბა აქვა: ორი ოქროსმაძიებელი ზამთარში, მთაში, გადაკარგულ ქოხში ჩაეტეტილი აღმოჩნდება — დიდი თოვლი ნაადრევად, მოულოდნელად მოვიდა. სურსათ-სანვაკე და სანვაკე არ აკლიათ, მაგრამ გასართობი არ გააჩინათ, დრო რომ გაიყანონ. ქოხში აღმოჩნდებინ რო წიგნს, მოარ ხაიამის რობაიების კრებულს და ცნობარს, სადაც ცოტ-ცოტა ყველაფერზე წერია, რაც კა რამ არსებობს ამქვეყნად — მშრალი, მოკლე, სტატისტიკური ინფორმაცია. კერძო ყრიან, წიგნებს გაინაწილებან და ზამთრის განმავლობაში ლამისაა, დაიზუთხავება... გაზაფხულზე თოვლი დაწენება, ბარად გამოაღწევენ, პატარა ქალაქში ჩავლენ, საადაც ნარჩინებულ იჯახს ულამაზესი გასათხოვარი ქლოშვილი ჰყავს. ქლავში მყოფი ყველა უცოლო მამაკაცი მას ეტრიფის, ასევე ორი ოქროსმაძიებელიც — ერთი პოზიის მეშვეობით ცდილობს ქალიშვილის გულის მოგებას, მეორე კი — ზუსტი მეცნიერული ფაქტებითა და სტატისტიკური მონაცემებით. ორიდან რომელმა გაიმარჯვა საბოლოოდ, არ გეტყვით, არ დაგასაბოლერებთ — თუ არ იცით ეს მშვენიერი მოთხოვბა, გირჩევთ, ნაიკითხოთ, იხალისებთ.

მე კი გადავიწყებ, ორივე მეთოდის-თვის მიმემართა ერთდროულად — ნანა ჯერ კიდევ არ იყო ჩემი ცოლი — ერთი თუ არ გაჭრის, მეორე ხომ მაინც იმოქმედება-მეტე, ვაფირობდი. და კიდეც მივემზადე სათავიდო. ასე ვთქვათ, თადარივი დავიჭირე. წავიკითხე რაღაც-რაღაცები. დავი-

მახსოვრე. ლამის დავიზუთხე.

...ნარმოიდებინეთ სცენა — ზაფხულია, ღამეა, სინწყარეა, სიონ უბერავს, ღია ფანჯარასთან ვსხედვართ — ფანჯრის რაფაზე კაქტუსი დგას თიხის ქოთანში — ყვავას ესვამთ, ლიქიორს ვწრულავთ და ვმასლაათობთ. მაგიდაზე სანთელი ანთია (იმიტომ კი არა, რომ ასეთი სხორუპოვარი რომანტიკოსები ვართ — შექი ჩაქრა). ნანა ახალი გაცნობილი მყავს, პირველად ვარ მსთან სხლში და ძალიან მინდა, მასზე შეთანხმება მოახდინო. ავხედე ცას — მოჭედილია ვარსკვლავებით.

— იცი, რამდენი ვარსკვლავია ჩევენს გალაქტიკაში? — ვითომცდა სასხვათა-შორისოდ ვეკითხები.

— ბევრი, — უდარდელად მეუბნება.

— სიტყვა „ბევრი“ ძველად „ათასს“ ნიშნავდა, მაგრამ სინამდვილეში ჩევენს გალაქტიკაში, „მილქი ვეი-ში, ანუ „ირმის ნახტომში“, სულ ცოტა, 400 მილიარდი ვარსკვლავია!

— 400 მილიარდი?!

— თანაც ეს მხოლოდ ჩევენს გალაქტიკაში. არადა კოსმოსში ასეულობით მილიარდი გალაქტიკაა... სამყარო ძალიან დიდია... მისი დაკვირვებადი ზომა, ანუ რასაც ჰაბლის ტელესკოპით ვხედავთ, 94 მილიარდი სინათლის ნელინადია დიადეტრში და თანაც სწრაფად ფართოვდება.

— და ჩევენს გალაქტიკაში რამდენი პლანეტა?

— დაახლოებით 640 მილიარდი.

— მართლა? და რამდენზე შეიძლება, სიცოცხლე არსებობდეს?

— 60 მილიარდად პლანეტა, სადაც შეიძლებოდა, განვითარებულიყო სიცოცხლე... ასეთ პლანეტებს ეკზოპლანეტებს ესახიან.

— მერე, პასუხობენ? — მკითხა ნანამ ლიმილოთ.

— რას გულისხმობა? — ვერ გავიგო.

— ეძახიან, შენ თქენი. პოდა, თუ ეძახიან უნდა უკავშირობოდეს...

— მიდი რა, გაისხენ! ერთი ლექსი!

— მიდი რა ვთხოვ... მმ... ლიმერიკს ნაგიყითხავ... სახუმარო ლექსს, იუმორისტულს...

— კარგი, — მითხა მორჩილად, მაგრამ ვიგრძენი.

— რომ იქნებოდა. სერიოზულს ელოდებოდა.

ალბათ, რომანტიკულს. აბა, რა იციდა, რა ანცი და ლაზლანდარა ვიყავი, ვარ და ვიქენში.

— ერთხელ მიტომ ღამის ცაზე დაინახა ვენერაო,

— ცისკრის ვარსკვლავს თურმე ჰკითხა:

რას ციმიტებ, გინდა რაო?

— გაულიმა ვენერამა,

— ეუბნება: მიტო, ძამა,

— ეს ციმციმი არის თხოვნა, ერთი ჭიქაც გადაპრერაო!

— ნანას გაეცინა, მაგრამ არაფერი უზქე-

ვამს. ლიქიორი ჩამოვასხი, მაგიდაზე მდგარ მის ჭიქას მივუჭახუნე და ყარაჩოლელივით დავიწყებ:

— ეს იმ ვარსკვლავს გაუმარჯოს, ზედ

რომ დაგვნათის, ვენატრებით, გულით

უნდა ჩაგვეხუტოს, მაგრამ ძალიან შორ-

და ვარსკვლავებს შორის, ისინი მარადიულად ანათებენ, ჩევენ კი წამიერად გავიელვებთ ხოლმე და ჩავქრებით... ჩავიწვებით...

ვარსკვლავია ყველაფერი, რაც კი რამ არის

ამქვეყნად ყოველს ელის ხვედრი მტკრის და სამარის,

შენ მარადიულს წამიერად შეავლე თვალი

და ჩათვალე, რომ წამიერიც მარადუამ არის.

— ეს რა, ომარ ხაიამია? — მკითხა ნანამ ამდებით.

— რა მაგარი ხარ, როგორ გამოიცანი!

— ვუთხარი, მაგრამ ის კი აღარ ამისხნია, რომ ირიგინალში „ვარსკვლავის“ ნაცვლად წერია, „რადგან ქარია“ და საერთოდაც, ჩემს ჭკუაზე გადავავეთე.

— გიყვარს პოეზია? — მეკითხება.

— პოეზია და ვარსკვლავებით მოჭედილი ცა! — ვეუბნები ენთუზიაზმით, არად, ვერ ვიტან პოეზიას. სენტიმეტობის ბაზაზე...

— დარაში დასაგანგებების არ წერ?

— შეეს პლანეტაში?

— ზოგჯერ... იშვიათად... უფრო პრობლემა ვერ ვიტან არ წერ?

— არა. რა მინდა, მჯეროდეს. საშინელება იქნებოდა. ამხელა სამყაროში მარტინი ვართ.

— ამ უმველებელ სამყაროში? — ნანამ შუბლი შეიქმუხნა, — ძნელი წარმოსადგენია. შენ გჯერა, რომ მარტინი ვართ?

— არა. არ მინდა, მჯეროდეს. საშინელება იქნებოდა. ამხელა სამყაროში...

— კიდევ რა ვერსიები არსებობს?

— მაგალითად, რომ სამყარო მიდენად დიდია, კონტაქტი ფიზიკურად ვერ დამყარება ჯერ-ჯერობით, ან რომ ძალიან ცოტ-ცოტად გამოიცავა... სამყაროს სამყაროში ვერ ვიტან ცოტ-ცოტად მიმდებარება არ გვითხოვთ.

— რადგან მთხოვ... მმ... ლიმერიკს ნაგიყითხავ... სახუმარო ლექსს, იუმორისტულს...

— კარგი, — მითხა მორჩილად, მაგრამ ვიგრძენი.

— რომ იქნებოდა. სერიოზულს ელოდებოდა.

ალბათ, რომანტიკულს. აბა, რა იციდა, რა ანცი და ლაზლანდარა ვიყავი, ვარ და ვიქენში.





## ზაზა ბიბილაშვილი

### სრულიად საიდუმლოდ

აის ქალი, შენ რომ მოგწონს ძალიან,  
ვინც ერატოს, ურანის ცალია,  
ვისაც შენი უტიფარი ფიქრისთვის  
სხვა ქალებზე უფრო ხშირად სცალია,  
შენს სიზმარში ვინც კი ლაშე ათია —  
ერთი როა სხვა და ეგ რომ ათია,  
შენი კედლის, ჯიბისა და მაგიდის  
ეკრანებზე ვისი შუქიც ანთია,  
თან — კომეტის განა ალიკვალია —  
ვარსკვლავივით ლამის ჩაუმქრალია,—  
აეგ ქალი — მოჩვენება კი არა —  
ნამდვილია, ხორციელი ქალია.

უკან ნისლის ფარატინად ნაფენში,  
რა ფერში და — ლამის აღარაფერში,  
ერთი-ორჯერ მაინც ნამდვილ კაბაში  
კიდეც ნახე ეზოში თუ კაფეში.  
და იმ მაინც სინამდვილის სტუმარი,  
მზის მწუნარი, თინათინის მხუნარი —  
როცა ნახე ნისლებივით კაბებში —  
მარტო მაშინ კი არ იყო — სულ არი.

ეგ კი არა, დამიშლიდა ჭკუა რად —  
იმისთვისაც მეთქვა — არ მეუარა —  
რომ შენცა ხარ  
ნამდვილად და ყოველთვის —  
მაგრამ რავი, ეგრე არის თუ არა.

### მაღავავებრივადი

არ გეგონოს, სულ ასე გავძლო —  
უშენოდ.  
მალე შეგხვდები —  
მომდევნო ცხოვრებაში.

მალე შეგხვდები —  
ერთი ცხოვრების გარბენას რა უნდა.  
ნახევრისას — მით უმეტეს.  
დარჩენილისას — მით უფრო.

იმ ცხოვრებისთვის გადავდე  
ეგ ძებნა, ეგ პოვნა, ეგ იმედგაცრუება.

ეს ბარემ ამან მოინელოს —  
წინა ცხოვრებიდან გადმოდებულმა.

მალე შეგხვდები —  
მომდევნო ცხოვრებაში —  
ვინ იცის, როგორს,  
ვის.

ვინ იცის, წინა ცხოვრებაში  
როგორები იყვნენ,  
ვინ იყვნენ  
ესენი.

### შევედრია ამოყოსთან

ჩემი ათი, თხუთმეტი, ოცი ნლის უნახავო  
ნაცნობებო,  
რა გემართებათ?  
კაცმა თვალი თუ მოგაშორათ,  
უმალ ბერდებით?

აი, გიყურებთ და,  
ისე უცნაურად ილიმებით,  
თითქოს ისინი არ იყოთ,  
ათი, თხუთმეტი, ოცი ნლის წინათ რომ  
გიცნობდით.  
ან თითქოს ისინი იყოთ.

აი, მიყურებთ და,  
ისე მიყურებთ,  
თითქოს მე ვიდიმებოდე უცნაურად,  
თითქოს თვალი მომამორეთ თუ არა,  
მე დავბერდი.

### ცხოვრების პერიოდული სისტემა

ყოველთვის ასე იყო:  
სანდახან არ ცხოვრობდი —  
და — საკმაოდ შედეგიანად

იმ სანდახანებში ბევრჯერ გადარჩი:

რამდენჯერმე არ მოკვდი.  
რამდენჯერმე არ მოგალეს.  
რამდენჯერმე არ მოიკალი.

თითოჯერ მოშუშდი. გამოშუშდი.

მართლა ყოველთვის ასე იყო:  
სანდახან მართლა არ ცხოვრობდი, —

სანდახან რომ გეცხოვრა,  
ვითომ.

### ცეკვუ

არასდროს მომწონდი.  
შინაურისა კი არა —  
გარეულისაც კი არა.

ჩემი, მით უმეტეს,  
არ მომწონებარ.  
არ მომენები.

შესაბამისად,  
უკვე ვიცი,  
როგორ შეგხვდები:

დავწვები,  
გულზე ხელს დავიკრუბ,  
და თავს ისე მოგაჩვენებ,

ვითომ  
ვერავის ვხედავ,  
არარა მესმის,  
ვერაფერს ვგრძნობ,  
ამქვეყნისა გამეგება აღარაფერი.

### ზაზლი (3)

- ნიშნს ვერ მომიგებთ.

არასდროს მითქვამს:  
ასე მოვიქცეთ  
და გადავრჩებით.

მხოლოდ ვამბობდი:  
სამართლიანი იქნება,  
რომ  
ასე მოვიქცეთ.

- უთანასწორო ბრძოლაა:

ერთგულზე  
მოდის  
ორგული.

- ეს მაინც როგორ უნდა —  
თვალი როგორ უნდა  
გაეუსწორო  
მაგ ალალ თვალებს,

მოღალატე მეგობარო?

- მე ვერ გასწავლი,  
უცოდველად  
როგორ იცხოვრო.

გასწავლი,  
შენი ცოდვებისა  
როგორ გრცხვენოდეს.

### შინაომი

გამოვჩერჩეტდი, როგორც  
უკანასკნელი ხრონცი! —

ახლა მოვკალი კოლო —  
ჩემი სისხლი და ხორცი.

### თავო ჩემო

გამიშვი, ვიდრე გაგჭერი,  
მერე — მოგჭერ და მიგჭერ!

ქუდივით,  
ხელთათმანივით,  
ფეხსაცმელივით  
მიჭერ.

### გასაგები გაუგებრობა

არა უშავს,  
თუ გამიგებთ არცერთი.

რომ მიგებდეთ,  
ლექსებს კი არ დავწერდი...

### ფინიშის პარადოქსი

ბერდები,  
ილები,  
უჩქარებ ფეხს.

- არა ჰქმნე თავისა შენისა კერპი —  
პატივ-ეც მამასა შენისა —  
არა კაც ჰქლა —

ლმერთო.

- ყველაფერმა კარგად ჩაიარა.

მხოლოდ  
ფეხები სიარულს მიშლიდა,  
ხელები — ალებას,  
ცხოვრება — სიცოცხლეს.

- მკითხველი არ არის.  
წერ.

ბარემ ილოცე.



— როგორ გითხრათ, საკუთარი თავი  
საკამარისად მოვაბეზრე. ბევრს ვფიქრობ-  
დი ჩემს სამუშაოზე, თანმხლებ მოვლე-  
ნებზე. უკვე კარგად ვიცი ის, რაც ვიცი.  
ცხადია, დღეს გარე სამყარო ჩემთვის ბევ-  
რად უფრო საინტერესოა.

— ცოტას ნავითოცნებებ და ნარმოვ-იღენ, თითქოს როლები გავცალეთ. ნიგზე — „სექენდ ჰენდის დრო“ — ვმუშაობ და იმ იმედით მოვედი, რომ გულახდილად მიამბობთ თქვენი პირადი ცხოვრების ყველაზე მძაფრ ისტორიას. რომელ პერიოდს ამჯობინებთ — საბჭოთას თუ პისტსაბჭოთას — არჩევანს თქვენ მოგანდობთ.

— ძალიან ბევრი ამბის მოყვოლა შეიძლება. არჩევაც კი მიჭირს. ისევ „გეკარეპეს“ (საგანგებო სიტუაციათა ეროვნული კომიტეტი საბჭოთა კავშირის დროს) და მასთან დაკავშირებულ შიშს გავიხსენებ. იმხანად მინსკში ვიყავი. ინტელიგენცია შიშობდა, ისევ კომუნისტური დრო დაბრუნდებოდა. ჩემს პატარა გოგონასთან ერთად ქალაქში სასეირნოდ საგანგებოდ წავედი. კარგად მახსოვს... მინდოდა, გამეგო, ხალხი რას ფიქრობდა. ყველგან რიგები იდგა. რომელილაც რიგში ჩავდექი და დავინახე — ერთი სული ჰქონდათ, „გეკარეპეს“ გაემარჯვებინა. ამას ელოდნენ. მიგხვდი — ჩვენ, ვისაც მათი გამარჯვება არ გვსურდა — ძალიან ცოტანი ვიყავით. მახსოვს, როგორ საუბრობდა ხალხი რიგებში; როგორ დასხედით სადღაც; მგონი, ბავშვინამცხვარს ჭამდა... რა თქმა უნდა, ყველა მხოლოდ ამაზე ლაპარაკობდა. ამბობდნენ, როგორც იქნა, წესრიგი დამყარდებათ. ყველაფერმა ამან მეტისმეტად მძიმე შთაბეჭდილება იქონია ჩემზე.

— თქვენით, რომ დიდი ისტორიების შეცნობას ამ ისტორიის ერთი ადამიანის მასშტაბებამდე შემცირებით ცდილობთ. თუ მცა, დიდ ამბებს ათი ათასობით ასეთი ადამიანი ჰყავს თავის წრეში მოქცეული. მათზე ვისაუბროთ — თქვენს უთვალავ პერსონაჟებებს, თუ არის შესაძლებელი დადგებით ან უარყოფით პერსონაჟებს შორის ზღვარის გავლება, თუ ეს კველაფერი მეტისმეტად გადახლართულია ერთმანეთში?

— ყვიქერობ, თითოეულ ინდივიდში ძალიან ბევრი რამ არის თავმოყრილი. ყოველთვის მაინტერესებდა ადამიანები მათი ფართო გაეხდით. დოსტოევსკის თუ დავესესხებით — „ბევრისმომცველია რუსი ადამიანი — აჯობებს, ცოტა შევავინროვთ“. ყოველთვის მსურდა, ადამიანი ისეთად წარმომედგინა, როგორიც სინამდვილეშია — ცოცხალი. ყველა ინდივიდი ერთმანეთში არეულ უამრავ რამეს აერთიანებს. არ არსებობს ქიმიურად სუჟითა პორტფეხა — ასეთი მხოლოდ ჯალათია... რა თქმა უნდა, არიან ადამიანები, რომლებმიც სადისტური საწყისი ჭარბობს, მაგრამ სინამდვილეში, მთელი ჩვენი ცხოვრებით, ჯალათობასა და მსხვერპლად ყოფნას შორის ვმერყყობთ. ბოროტება გაბნეულია, ის ყველგანაა მიმოფანტული. ამიტომ, იმისთვის, რომ ვწერო, ადამიანი უნდა დავინიაზო ჯალათშიც და მსხვერპლშიც, და არავითარ შემთხვევაში, მხოლოდ ამ უკანასკნელში. ჩვენ მსხვერპლთ კულტურა ვართ, ძალიან ბევრი ვიცით მსხვერპლის შესახებ, ჯალათები კი ქრებან მაშინვე, როგორც კი მათი დრო, ძალაუფლება სრულდება. სადღაც უჩინარდებიან. ვეღარ ვპოულობთ. „პერესტროიკის“ დროს რამდენიმე ათეული ჯალათი გაჭირვებით ვაპოვეთ. მათი სახელები გამოვაქვეყნეთ, მაგრამ მოგვიანებით არქივები ისევ დაგეურეთ. მათზე ძალიან ცოტა რამ თუ ვიცით, მაგალითად ის, რომ

სვეტლანა ალექსიევიჩმა, როგორც მისი ამბეჭის თვითმხილველსა და მასპინ ძელს, დამიტოვა ბევრი ემოცია, შთაბეჭდილება, გამოცდილება... მოსაგონრად და რჩა რუსთაველის თეატრში მისთვის მირთმეული წითელი ვარდები და ინტერვიუ რომელზეც ალბათ ბევრი უკრნალისტი იოცნებდებდა.

გთავა მოითესებულუ იტურად „ლიტერატურული განეთისტვის ჩახელილ ვოკცელ საუბარს ლიტერატურის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატ სვეტლანა ალექსიევიჩთან.

## სვეტლანა ალექსიევიჩი:

# „უკვე პარგალ 30ცი ის რაც 30ცი“



ისინი ჩვენ შორის არიან. ჩემი წიგნისთვის — „სექტნდ ჰენდის დრო“ — მათ ძალიან დიდხანს ვეძებდი. მსურდა, ამ ხალხის ფსიქოლოგია გამეგო. რამდენიმე ადამიანი ვიპოვე კიდეც და გაოცებული დაგრჩი — რამდენად ჩვეულებრივი ადამიანები აღმოჩნდენ. თურმე რა მარტივია, ადამიანისგან ერთიც შექმნა და მეორეც.

— წიგნში — „სექტნდ ჰენდის დრო“ — წერთ, რომ საბჭოთა კავშირს თუ რამ გამოუვიდა, უპირველესად, პირვანდელი ადამიანის შეცვლაა. იდეოლოგიამ ამაზე კარგად იმუშავა. იმდენად კარგად, საბჭოთა ადამიანს, ყველა სხვას შორის, დღესაც ადვილად გამოარჩევთ. ეს მხოლოდ იმ ადამიანებს ეხება, ვინც საბჭოთა ეპოქაში იცხოვრა, თუ მათ ოჯახებში გაზრდილ ახალ თაობასაც? საბჭოთა ადამიანის ეგრეთ წოდებული თვისებები ინერციით შემდგომ თაობებსაც გადაჟირება?

— ჯერ კიდევ არ გვქონია არასაბჭო-  
ობა ორთ იმიტომ რომ მაშინაც უი როცა

ეკრანელმა ხალხმა თითქოს შეძლო მონაცემა, უფრო სწორად, დანაშაულის აღიარება. ჩვენთან რა ხდება ამ მხრივ? მგონი, დღემდე საკუთარ თავსაც კი ვუმაღლავთ სიმართლეს...

— უცირველესად, არ უნდა დაგვავინტ-  
დეს ნიურნბერგის პროცესის. ფაშისტები  
მთელმა მსოფლიომ გაასამართლა. დაისა-  
ჯა უამრავი მეთაური — ზოგს სიკვდილი  
მიესაჯა, ზოგს სამუდამო პატიმრობა.  
ძალიან დიდი წმენდა მოხდა — გაასამარ-  
თლეს როგორც მაღალი თანამდებობის  
პირები, ასევე — რიგითები. პიტლერის  
ყოფილი მეთაურებიდან ვერავინ ველარა-  
სოდეს იშოვიდა სამსახურს. რაც შეეხება  
საბჭოთა კავშირს, ჩვენთან კომპარტიის  
წინააღმდეგ სასამართლო არ ყოფილა.  
თითქოს დაიწყო პროცესი ელცინის დროს,

მაგრამ შემდეგ ყველაფერი ფარსში გადა-  
იზარდა და დავინუებას მიეცა. ხელმძღვ-  
ანელი პოსტებიდან კომუნისტები არ  
ჩამოუშორებიათ. მხოლოდ აბრა შეიცვა-  
ლა. დარჩენენ საბჭოთა ხელმძღვანელები,  
ძეგლები; ძალიან დიდხანს ფულიც კი კვ-  
ლავ საბჭოთა გვქონდა. ირგვლივ ყვე-  
ლაფერი საბჭოთა იყო. ცხადია, ძალიან  
მიხარია, უკრაინაში საბჭოთა ძეგლებს  
რომ იშორებენ, ლუსტრაციის მცდელობაც  
ჰქონდათ — სურდათ, სახელისუფლებო  
რგოლიდან კომუნისტები ჩამოეშორები-  
ნათ, მაგრამ, მგონი, ჯერჯერობით  
არაფერი გამოუვიდათ. კომუნისტები მა-  
ლევე მოეგნენ გონის და აღიდგინეს ძალაუ-  
ფლება, რომელიც ყოველთვის ჰქონდათ  
და, საკუთრებაც. მათ ქვეყნის გაძარცვის  
შესაძლებლობა მიეცათ და ახლა კიდევე  
უფრო გაძლიერდნენ. აღარაფერს გამობო  
იმაზე, რომ ხელისუფლებაში დარჩენილე-  
ბი ასაკისა და ადამიანის უფლებების  
უზრუნველყოფის უზრუნველყოფა

— „არც ერთი დიქტატორი არ არის ყოვლისშემძლე, მთავარია, რამხელა სივრცეს ვიტოვებთ ადამიანები ბრძოლისთვის“ — ეს თქვენი სიტყვებია. სშირად საუბრობთ ფერმენტზე — ადამიანებს მონობა თითქოს რომ მოსწონთ

კიდევ და ნებაყოფლობით სცნობენ, ამ მდგომარეობას. როგორ ფიქრობთ, სინამდვილეში, დიქტატორები ახერხებენ ადამიანების დამონებას თუ ადამიანები საკუთარი ნება-სურვილით, თავადვე ქმნიან დიქტატორებს?

— ჩემი აზრით, რა თქმა უნდა, ხალხია დამანაშავე. ყველას ის მთავრობა ჰყავს, რომელსაც იმსახურებს. ხშირად ვამბიობ ხოლმე — ბელარუსებს ჰყავდათ ასეთი მოღვაწე, მწერალი ალეს ადამოვიჩი, რომელიც ბელარუსი ვაცლავ პაველი იყო. მაგრამ ხალხმა ის კი არ აირჩია, არამედ კოლმეურნების თავმჯდომარე, რომელიც დაპირდა, რომ მდიდრებს ყველაფერს წაართმევდა და მათ გაუნანილებდა — ეს სასჯელის ერთგვარი თანამედროვე ფორმა გახლდათ. ხალხისთვის ეს ძალიან გასაგები და ახლობელი ფორმა იყო. რევოლუცია, გორბაჩივის „პერესტროიკა“, მისი მომხრების მცირე კონტიგენტმა და ინტელიგენციამ მოახდინა. ჩვენ ძალიან ცოტა ვიყვაით. არადა, ამას ვერც კი წარმოვიდგენდით. გვევონა, მთელი ერთ ფეხზე დადგებოდა და ამას ერთობლივი ძალებით გავაკეთებდით. სინამდვილეში კი, ყველაფერი საპირისპიროდ მოხდა. სოლუსიციინი, შალამოვი, სხვა მწერლებიც უკვე გამოცემული იყვნენ — ავტორები, რომელთა წიგნები კომუნისტების დროს აკრძალული იყო, მაგრამ ეს არავის აინტერესებდა. ხალხი მათ გვერდს უვლიდა. ახალი წიგნები, ახალი სამყარო, ახალი დროება აინტერესებდათ, რომელიც მოვიდა. ადამიანებს უხაროდათ ახალი მადულარა, ახალი სარეცხის მანქანა... წიგნების რიგებში დგომა აღარ უწევდათ, რადგან წიგნისმიერი წიგნის დაბეჭდვა შეიძლებოდა. თავადვე ვქმნით სივრცეს, როცა უარს ვამბობთ ბრძოლაზე — მისი გაგებაზე, რომ განსაკუთრებით არადემოკრატიულ ქვეყანაში თავისუფლება არის ის, როცა მოელისაზოგადოება იბრძვის საერთო მიზნისთვის და არა ერთი მუჯა სამოციანელები ან კიდევ ვინმე სხვა. თუ მხოლოდ ერთეულები იბრძოლებენ, თავისუფლება არ იქნება. ვფიქრობ, სწორედ ამიტომ განვიცადეთ მარცხი და ვცხოვრობთ დამარცხებულის სინდრომით. დიქტატორები კი სწორედ იმ სივრცეში მოქმედებენ, რომლიდანაც გავდივართ და ცარიელს ვტოვებთ. არსებობს ასეთი რუსული გამოთქმა — გმირების შემდეგ ბრძოლის ველზე მორიდიორები გამოიდინო. გამოვიდნენ კიდეც...

— ვფიქრობ, ადამიანთა ძირითადი

მასა არასოდეს მონაწილეობს დიდ პროცესებში. რევოლუციაც კი, რუსეთში, რასაც ოქტომბრის გადატრიალება ერქვა, ლენინმაც ადამიანების მცირერიცხოვან ჯგუფთან ერთად დაიწყო; მიმართა ტერორს ხალხის ნინააღმდეგ, ხალხმა კი ვერ შეძლო გაერთიანება და ნინააღმდევობის განწევა. ხალხი ახლაც ასეა. ყველას არ შეუძლია იმის გააზრება, შეფასება, რაც ხდება. ეს ინტელიგენციამ უნდა იტვირთოს — უნდა შეძლოს იდეების ფორმულირება, ასამინისტრო მიზანი.

— ახერხებს კი ამას ინტელიგენცია?

— მისაჩინია, რომ პოსტისაბჭოთა კვეყნებში ინტელიგენცია ძალზე სუსტია. რაც შეეხება ბელარუსსა და საქართველოს, ამის მიზანი ისაა, რომ ინტელიგენციის უმრავლესობა ჯერ სტალინმა გაანადგურა ბელარუსში და, ვფიქრობ, თქვენთანაც, შემდეგ კი მეორე მსოფლიო ომმა. ჩვენთან დღემდე დიდი პრობლემაა, რადგან, ტრადიციულად, ყველაზე კულტურულ ფენას ეპრაელები წარმოადგენდნენ. ომამდე სწორედ მათ ხარჯზე იყო მინსკი კულტურული ქალაქი. გამოიდიოდა ბერი ეპრაული გაზეთი, შურნალი; იყო თეატრი, ეპრაული სკოლები... მაგრამ სტალინმა, პრატჩი ჯოლათ ყვითლა ეპრაული კომისარი

ოსურებულებად, კყვითა ქიანის, კუცია ის, რამდენიმე მილიონი, გაანადგურა... დახო-  
ცილი ეპრაელებიდან დაახლოებით მილ-  
იონი ბელარუსში ცხოვრობდა. წარ-  
მოიდგინეთ სოფლები, საღაც ცხოვრობდ-  
ნენ ეპრაელი მკერავები, ექიმები, მასნა-  
ლებლები, მთელი ეს კულტურული ნაწილი,













## ტარიელ ჭანტურია

!!!

სივრცე ნამდვილი ყინვის და  
სივრცე ნამდვილი „ზაგარის“ —  
სხვა საქართველო აქ იყო,  
და ახლაც, ხედავ — აქ არის!  
ყველაზე მეტი წინაკა,  
ყველაზე მეტი შაქრი —  
ნაღლი სიტყბო და სიმწარე —  
აქ იყო სულ და აქ არის!  
ბევრი მშვენება ქალაქი  
და ბევრიც — ნაქალაქარი —  
სულ სხვა ანტყო და წარსული  
სულ იყო აქ და აქ არი!  
ბევრი ლამაზი ქალაქი  
და ბევრი ნაქალაქარი,  
ასგვარი მშვენიერება  
სულ იყო აქ და აქ არი!  
დროდადრო — ყანვა ციმბირის,  
დროდადრო — სიცხვე საჰარის —  
ორივე — ერთიც, მეორეც —  
სულ იყო აქ და აქ არი!  
ა წვიმი — თავსხმა, ა ქარი! —  
სხვა საქართველო აქ არი...  
იმდერე! დასცხე! დაკარი! —  
სხვა საქართველო აქ არი!

\* \* \*

გამხდრებიც და სქელებიც,  
მოკლეებიც, გრძელებიც,  
ახლებიც და ძველებიც —  
ვართ სიკვდილის მძევლები!  
პაპიროსის მწევლებიც,  
სხვებიც — არამნევლებიც,  
მკითხველებიც, მწერლებიც —  
ვართ სიკვდილის მძევლები!  
მინისტრები, მუშები,  
არტისტები, მხევლები,  
სტუდენტები — ყველანი  
ვართ სიკვდილის მძევლები!  
ლომები და აფთრები,  
ქოფაკები, მწევრები,  
ფუტკრები და მწერები —  
ვართ სიკვდილის მძევლები!  
კეთილშობილებიც და  
ბნელი ფარისევლები... —  
როგორც წესი, სუყველა  
იმ უგულოს მძევლები!  
დღეგრძელი თამადისგან  
გულით ნადლეგრძელები —  
კანონია: ყველანი  
ვართ სიკვდილის მძევლები!  
...

დაიწყება, ვიცი მე,  
ახლა ჩემზე შეტევა!  
რა ვქნა, ვინც ვარ, ესა ვარ —  
ვარლამია შეთე ვარ!

\* \* \*

დღეს მილენა ვნახე,  
მან არ იცის,  
რომ მისი სახელი წლების წინ

სწორედ მაშინ დავიმახსოვრე,  
როდესაც მარშრუტის მძღოლმა გასძახა,  
ამ ფულის დატოვებას,  
სჯობდა თბილი მზერა დაგეტოვებინაო.  
ამბობდნენ,  
რომ ამ ბიჭს მაშინაც კი უყვარდა იგი,  
როცა მის უკვე გარდაცვლილ ქმარს ძალით გააყოლეს.  
დღეს, ამდენი წლის მერე,  
მილენა პირველად ვნახე.

მხოლოდ თვალებით ჰგავდა იმ გოგონას,

რომელიც ბავშვობიდან მახსოვდა.

მიუხედავად იმისა,

რომ მას დღესაც არ შევუმჩნევივარ,

მე მაინც ზეპირად ვიცოდი მისი ყველა მიხვრა-მოხვრა,

ამაყი ყელი

და პანაზინა ხალიც კი — თეთრ მკლავზე.

ხშირად,

როცა მარტო ვრჩებოდი,

ნარმოვიდებინდი,

შუადლის გულზე,

როცა იგი სამუშაოდან ბრუნდებოდა,

როგორ ნაზად ჯდებოდა ფეხებმორყელ სკამზე

და უყურებდა,

თუ როგორ ღებავდნენ მეზობლის სახლს.

ამბობენ,

სადებავს მძაფრი სუნი აქცსო,

მაგრამ მილენა ვერასდროს გრძნობდა მის სუნს,

რადგან მშვენივრად იცოდა უფრო მძაფრი —

მძიმე ყოფის სუნი.

ყოველთვის,

როცა წვიმდა,

იგი შშით წევებოდა საწოლზე

და პირადმა მწოლიარე

ითვლიდა სახურავიდან გამოჟონილ წვეთებს.

ვერ იქნა და ვერ დამთავრდნენ წვეთები,

ვერ იქნა და ვერ დამთავრდა მისი სიცოცხლეც.

დღეს მილენა ვნახე,

არ ვიცი,

მელაგები თხილის კრეფამ დაუკანრა,

თუ საკუთარმა ფრჩილებმა.

\*\*\*

ის,  
ვისაც ღამე მშვიდად ეძინა,  
ვერასდროს გაიგებს,  
დილით გამშრალ სარეცხს  
მთელი ღამის მანძილზე რამდენჯერ დაანვიმა.

შენ ისევ გძინვს,  
და გგონია ჩემს თვალებს მზის ამოსვლამდე  
არასდროს უტირიათ.

\*\*\*

მეგონა,  
ხემ გრძელი და

## გურანდა ბერია

სიცივით დამძიმებული ტოტები დახარა,  
როდესაც გამოშვიდობებისას მინას დახედე...

\*\*\*

ის-ის იყო, გავიფიქრე,  
დალლილობისგან წავიტოდი,

რომ ავტობუსიც გამოჩნდა.

ეს ერთადერთი ავტობუსი იყო,

რომელიც ჩემს სახლთან გადიოდა

და, რომელსაც მუდამ სულმოუთქმელად ველოდებოდი.

იშვიათა ხანდახან ისე მიმართლებდა,

რომ მჯდომარეს მიმავალი ავტობუსის ფანჯრიდან

შემეძლო დამენახა ლამის ქალაქი.

თუნდაც აქა-იქ განათებული,

თუნდაც მბუუტაგსინათლებიანი სახლებით.

მგზავრები ვერასდროს გაიგებდნენ,

რომ

ეს ქალაქი ყველაზე მეტად ღამე მიყვარდა!

რადგან სწორედ ერთ არაჩეულებრივად ქცეულ

ჩვეულებრივ ღამეს დავინახე „მარკი“.

სინამდვილეში რა ჰქვია,

არ ვიცი

და არც აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა,

რადგან იმ წუთიდან,

რაც გვერდით მომიჯდა,

მნიშვნელობებმა აზრი დაკარგეს!

იქამდე არასდროს დამიწივლია

ჩემი ფერმურთალი სახის გამო,

მაგრამ, მას შემდეგ,

რაც მან პირველად შემომხედა,

თუნდაც იმ ღამით

და იმ ცალნათურა ჩამქრალი ავტობუსის მოძრაობაში,

ვიგრძენი,

პირველი რაც დაინახა,

ჩემი ჩამავებული თვალები იყო.

მას, ალბათ, არასდროს შეუმჩნევია,

რომ რა მჯდომარე ადამიანი ხელებს დაბლა,

ხოლო მხრებს მაღლა იწევს,

ლავინები მეტად ეკვეთება

და რადგან თავად მაშინებდა საკუთარი სიგამზდრე,

უღლონდ ჩამოყრილი ხელები ჩანთაში ჩავყავი

და ვითომც მცოდნობდა რას ვეძებდი,

მონდომებით დავინებე ნივთებში ქექვა.

თითქოს რამდენიმე გულისცემა ერთად შეკრიბესო,

ისე ნათლად მესმოდა ჩემი გულის ხმა

და ცალი თვალით ისე ძლიერად გავხედა,

თავი ამტკივდა.

ის კი იჯდა და მიყურებდა.

ის ისევ ისე მიყურებდა.

მას შემდეგ „მარკი“ დღეს ვნახე. სინამდვილეში რა ჰქვია,

არ ვიცი,

და არც აქვს რაიმე მნიშვნელობა,

რადგან ერთი ადამიანი,

რომელსაც შეუძლია მეორე ადამიანის ცხოვრება

რამდენიმე წუთში მთლიანად შეცვალოს,

იმაზე მეტს იმსახურებს,

ვიდრე იმ სახელით მიმართვაა,

როგორც ყველა ეძახის.

